ვესაუბრებით
ამომრჩევლებს

პროექტის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ ანგარიში

ცესკო

საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

პროექტის მიზანი

ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლება 2017 წელს გასამართ არჩევნებთან დაკავშირებით:

- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების როლისა და არჩევნების მნიშვნელობის შესახებ.

საოლქო საარჩევნო კომისიასა და ამომრჩევლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერება, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის პოპულარიზაცია, ცნობადობის ზრდა და იმიჯის განმტკიცება:

- საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესება:

- ამომრჩეველთა მოსაზრებების მოგროვება საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული/სასურველი სერვისებისა და საჭიროებების შესახებ;
- შეგროვებული ინფორმაციის დამუშავება.

სარჩევი

6 მოკლე აღწერა

8 პროექტის განხორციელება

10 დასკვნა

11 დანართი 1. პროექტის კონცეფცია

15 დანართი 2. (ფლაერი)

17 დანართი 3. მოსაზრების ბარათი

18 დანართი 4. პროექტის ბიუჯეტი

მოკლე აღწერა

2017 წლის აპრილიდან საარჩევნო ადმინისტრაციამ ახალი ინიციატივის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ განხორციელება დაიწყო. ინიციატივა ითვალისწინებდა 2017 წელს გასამართ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, თვითმმართველი ქალაქის მერის და თვითმმართველი თემის გამგებლის არჩევნებთან დაკავშირებით ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებას, საოლქო საარჩევნო კომისიასა და ამომრჩევლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერებას, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის პოპულარიზაციას, ცნობადობის ზრდასა და იმიჯის განმტკიცებას, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესებას.

ინიციატივის განსახორციელებლად ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი[1], რომელმაც შეიმუშავა პროექტის კონცეფცია, აქტივობების სამოქმედო გეგმა, პროექტის ბიუჯეტი და საინფორმაციო მასალა.

პროექტი, 24 აპრილიდან 31 მაისის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით, მუნიციპალიტეტების ცენტრებსა და სოფლებში საოლქო საარჩევნო კომისიის 340 წევრის და 491 მოხალისის მონაწილეობით განხორციელდა. პროექტში ჩართული მოხალისეები იყვნენ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში მონაწილე ახალგაზრდები.

პროექტი „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ სამ ეტაპად განხორციელდა:

- საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საინფორმაციო კამპანიის წარმოება;
- საოლქო საარჩევნო კომისიებში საჯარო შეხვედრების – ამომრჩევლის დღის ორგანიზება;
- ამომრჩევლის მოსაზრების ბარათის დამუშავება და ანგარიშგება.

ინიციატივის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ ფარგლებში, გამართული შეხვედრები გაშუქდა როგორც ცენტრალური ტელევიზიების, ისე ბეჭდური და ელექტრონული მედიის მიერ. მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ამომრჩევლებთან შეხვედრების გრაფიკი და საინფორმაციო მასალა განთავსებული იყო ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე ბანერში „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ და სოციალურ ქსელში (ცესკოს „Facebook“ და „Twitter“ გვერდებზე). პროექტისთვის მომზადდა საიმიჯო-საინფორმაციო კლიპი, რომელიც განთავსდა 27 ტელეკომპანიაში.[2]

1 სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა: თამარ ჟვანია – ცესკოს თავმჯდომარე – სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი; გიორგი შარაბიძე – ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე; გიორგი ჯავახიშვილი – ცესკოს მდივანი; გიორგი სეხნიაშვილი – საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი; ქეთევან დანგაძე – საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი; სოფიო სიჭინავა – კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი; ოთარ ბუსკივაძე – საფინანსო დეპარტამენტის უფროსი; ქეთევან ჯანელიძე – საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი; თამაზ შარმანაშვილი – ცესკოს თავმჯდომარის მრჩეველი; ანა მიქელაძე – ცესკოს თავმჯდომარის მრჩეველი; ნათია ზაალიშვილი – სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორი.

2 საიმიჯო-საინფორმაციო კლიპი გავრცელდა შემდეგ ტელეკომპანიებში: „მაესტრო“, „ჯიდიესი“, „კავკასია“, „იბერია“, „პალიტრანიუსი“, „აჭარა“, „ბორჯომი“, „გურჯაანიტვ“, “გურიატვ“, „ოდიში“, „იმერვიზია“, „თანამგზავრი“, „ქვემო ქართლი“, „მარნეული“, „ბოლნელი“, „დია“, „მეცხრე არხი“, „ატვ“, „ფარვანა“, „რიონი“, „არგო“, „ზარი“, „მეცხრე ტალღა“, ეგრისი“, „ჯიხა“ და „კოლხეთი“.

მოსამზადებელი პერიოდი

სამუშაო ჯგუფმა მოსამზადებელი სამუშაოები თებერვალში დაიწყო. პროექტისთვის შემუშავდა შემდეგი მასალა: პროექტის კონცეფცია, სამოქმედო გეგმა, პროექტის ბიუჯეტი, ინსტრუქცია – პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წევრებისთვის, ამომრჩევლის მოსაზრებების ბარათი, საინფორმაციო ბარათი (ფლაერი), ასევე შემუშავდა სლოგანი „უფრო ახლოს“, რაც გულისხმობდა საარჩევნო ადმინისტრაციისა და ამომრჩევლებს შორის უფრო უშუალო და ეფექტურ კომუნიკაციას.

ინიციატივის გაცნობისა და საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების მოსაზრებების მოსმენის მიზნით სამუშაო ჯგუფმა 4 შეხვედრა გამართა. პროექტის განხორციელებამდე 73 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი პროექტის იმპლემენტაციის დეტალებთან დაკავშირებით. აღნიშნული შეხვედრები განხორციელდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით.

შემდეგომ ეტაპზე საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელებმა უზრუნველყვეს პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების მომზადება ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით და ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანიის წარმოების შესახებ.

პროექტისთვის შემუშავდა ბრენდირებული პროდუქცია: მაისური, კეპი და კალენდარი. გასავრცელებელი საინფორმაციო ბარათი (ფლაერი) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ითარგმნა და დაიბეჭდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

პროექტის განხორციელება

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა და მოხალისეებმა, მუნიციპალიტეტების ცენტრებისა და სოფლების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები ამომრჩევლებთან, რომელიც მიზნად ისახავდა ამომრჩეველთა ინფორმირებას საარჩევნო უფლებების, საარჩევნო პროცესებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების ფუნქცია-მოვალეობების შესახებ. შეხვედრების დროს ამომრჩევლებს დაურიგდათ საინფორმაციო ბარათი (ფლაერი), აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიებში გასამართ საჯარო შეხვედრებზე „ამომრჩევლის დღე“ მოსაწვევი. მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული/სასურველი სერვისებისა და საჭიროებების შესახებ დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი ამომრჩეველთა მოსაზრებების ბარათში.

73 საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე სულ გაიმართა 347 გასვლითი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 46 088 ამომრჩეველმა (სტატისტიკური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში 1).

ცხრილი 1.

	შეხვედრების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა	გავრცელებული საინფორმაციო მასალის სავარაუდო რაოდენობა
თბილისი	44	7200	14955
კახეთი	36	5483	7347
ქვემო ქართლი	44	7461	11247
მცხეთა-მთიანეთი	19	1270	2346
შიდა ქართლი	28	3665	6760
სამცხე ჯავახეთი	39	4287	7370
რაჭა-ლეჩხუმი	17	1050	1870
იმერეთი	49	7715	22840
გურია	12	1334	1870
სამეგრელო-ზემო სვანეთი	36	5335	19186
აჭარა	23	1288	6110
სულ	347	46088	101901

პროექტის ფარგლებში საოლქო საარჩევნო კომისიებში გაიმართა საჯარო შეხვედრები „ამომრჩევლის დღე“. კომისიების თავმჯდომარეებმა მოქალაქეებს მიაწოდეს ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების მნიშვნელობის, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და შეთავაზებული სერვისების შესახებ. შეხვედრის დროს იმართებოდა დისკუსია. ამომრჩევლებს, ასევე საშუალება ჰქონდათ დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები ამომრჩეველთა მოსაზრებების ბარათებში.

73 საოლქო საარჩევნო კომისიაში გაიმართა 103 საჯარო შეხვედრა – „ამომრჩევლის დღე“, რომელსაც დაესწრო 2 086 დაინტერესებული პირი (სტატისტიკური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში 2).

ცხრილი 2.

	შეხვედრების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა	გავრცელებული საინფორმაციო ფურცლის სავარაუდო რაოდენობა
თბილისი	17	304	546
კახეთი	9	208	307
ქვემო ქართლი	14	259	440
მცხეთა-მთიანეთი	4	85	190
შიდა ქართლი	7	135	380
სამცხე ჯავახეთი	14	290	414
რაჭა-ლეჩხუმი	4	75	155
იმერეთი	12	281	540
გურია	5	104	165
სამეგრელო-ზემო სვანეთი	9	198	294
აჭარა	8	147	332
სულ	103	2086	3763

პროექტის დასრულების შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებმა წარმოადგინეს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშები შემუშავებული ფორმის მიხედვით. ანგარიში მოიცავდა ინფორმაციას პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის შემადგენლობის შესახებ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საინფორმაციო კამპანიის წარმოების შესახებ, საოლქო საარჩევნო კომისიებში გამართული საჯარო შეხვედრების – „ამომრჩევლის დღის“ შესახებ, დამუშავებულ ინფორმაციას ამომრჩევლის მიერ შევსებული მოსაზრებების ბარათების მიხედვით.

ამომრჩევლების მიერ შევსებულ იქნა 11 458 მოსაზრებების ბარათი (სტატისტიკური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში 3).

ცხრილი 3.

	შეხვედრების რაოდენობა	შეგროვებული ამომრჩეველთა მოსაზრებების ბარათების რაოდენობა
თბილისი	61	1588
კახეთი	45	1489
ქვემო ქართლი	58	1063
მცხეთა-მთიანეთი	23	555
შიდა ქართლი	35	542
სამცხე ჯავახეთი	53	1118
რაჭა-ლეჩხუმი	21	508
იმერეთი	61	1361
გურია	17	657
სამეგრელო-ზემო სვანეთი	45	1860
აჭარა	31	772
სულ	450	11458

დასკვნა

3

როექტი „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ 2017 წელს პირველად განხორციელდა, რომლის ფარგლებში 450 შეხვედრა გაიმართა, მათ შორის, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში – 347, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებში – 103 საჯარო შეხვედრა „ამომრჩევლის დღე“.

საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 48 174-მა მოქალაქემ, მათ შორის, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამართულ შეხვედრებში – 46 088, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებში – 2 086.

პროექტის ფარგლებში 11 458-მა ამომრჩეველმა შეავსო მოსაზრებების ბარათი, რომელთა დამუშავების პროცესში გამოვლინდა პოზიტიური განწყობები საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ და ამავდროულად დაფიქსირდა შემდეგი საკითხები:

ვისურვებდი:

- **არჩევნების უკეთესად ჩატარებას;**
- **არჩევნების ელექტრონული სისტემით ჩატარებას;**
- **ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის გამარტივებას, მათ შორის მარკირების პროცედურის გაუქმებას;**
- **ადაპტირებულ გარემოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობისთვის.**

მაინტერესებს:

- **ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი მონაცემების გადამოწმება;**
- **კენჭისყრის დღეს ხმის დათვლის პროცესი;**
- **საარჩევნო სუბიექტის (საინიციატივო ჯგუფის) რეგისტრაციის პროცედურები;**
- **პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები.**

ქარმი იქნება:

- **მეტი ინფორმაცია არჩევნების შესახებ;**
- **საუბნო საარჩევნო კომისიაში დასაქმება;**
- **გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა.**

საარჩევნო ადმინისტრაცია კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს მიღებული ინფორმაციის საკუთარ საქმიანობაში გათვალისწინებას.

ცესკო
საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

ვესაუბრებით ამომრჩევლებს

უფროსახლოს

www.cesko.ge

პროექტის მიზანი:

ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლება 2017 წელს გასამართი არჩევნებთან დაკავშირებით:

- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების როლისა და არჩევნების მნიშვნელობის შესახებ.

საოლქო საარჩევნო კომისიასა და ამომრჩევლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერება, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის პოპულარიზაცია, ცნობადობის ზრდა და იმიჯის განმტკიცება:

- საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესება:

- ამომრჩეველთა მოსაზრებების მოგროვება საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული/ სასურველი სერვისებისა და საჭიროებების შესახებ;
- შეგროვებული ინფორმაციის დამუშავება.

სამიზნე ჯგუფები:

შერეული ჯგუფები (საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები).

რეგიონების სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს შემდეგ სამიზნე ჯგუფებზე:

- ხანდაზმული ამომრჩევლები (მოხუცებულთა პანსიონატები);
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები (ბოშათა დასახლება, პანკისი);
- მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები პირები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (დღის ცენტრები).

განხორციელების არეალი:

საჯარო შეხვედრების გამართვის ადგილია სსკ-ბის შენობები.

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საინფორმაციო კამპანიის წარმოების არეალია არანაკლებ ერთი მუნიციპალიტეტის ცენტრი და არანაკლებ სამი სოფელი.

განხორციელების ვადები:

- მოსამზადებელი ეტაპი – თებერვალი – აპრილი;
- განხორციელების ეტაპი – 24 აპრილი – 31 მაისი;
- შეჯამება – ივნისი.

განმახორციელებელი პირები:

- სამუშაო ჯგუფი (ცესკოს ხელმძღვანელი პირები, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი, კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი, საფინანსო დეპარტამენტი, სწავლების ცენტრი);
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები.

პროექტის განხორციელების ეტაპები:

I ეტაპი

მასალების პროექტების მომზადება:

- ინსტრუქციის პროექტის მომზადება სსკ-ბისთვის;
- ფლაერის პროექტის მომზადება;
- ამომრჩევლის მოსაზრებების ბარათის პროექტის მომზადება.

შეხვედრები სსკ-ბთან:

- პროექტის კონცეფციისა და მასალების პროექტების გაცნობა სსკ-ბისთვის, მათი რეკომენდაციების მიღება.

ლოჯისტიკური უზრუნველყოფა:

- ბრენდირებული პროდუქციის სახეობისა და რაოდენობის განსაზღვრა/დამზადება;
- საინფორმაციო სტენდის მომზადება;
- სსკ-ბის მივლინებების ორგანიზება;
- პროექტის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ განხორციელების გრაფიკის შედგენა.

II ეტაპი

საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება:

- პროექტის პრეზენტაციის გამართვა ჩართული მხარეებისთვის;
- რეკლამის დამზადება/განთავსება;
- გაშუქება.

მასალების საბოლოო ვერსიების მომზადება/ბეჭდვა:

- მასალების მომზადება;
- მასალების ბეჭდვა.

ინსტრუქტაჟის ჩატარება სსკ-ბისთვის:

- სსკ-ბისთვის ინსტრუქტაჟის ჩატარება.

ლოჯისტიკური უზრუნველყოფა:

- მასალების (ინსტრუქცია, ფლაერი, ამომრჩევლის მოსაზრებების ბარათი), ბრენდირებული პროდუქციისა და საინფორმაციო სტენდის გადაცემა/დისტრიბუცია;
- სსკ-ბის მივლინებების ორგანიზება.

III ეტაპი

პროექტის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს„ განხორციელება

სსკ-ბში საჯარო შეხვედრების – ამომრჩევლის დღის ორგანიზება:

- საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და შეთავაზებული სერვისების გაცნობა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების როლისა და არჩევნების მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- მოსაზრებების მოსმენა/მოგროვება.

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საინფორმაციო კამპანიის წარმოება:

- ფლაერის გავრცელება (მოწვევა სსკ-ში საჯარო შეხვედრებზე);
- ამომრჩეველთა მოსაზრებების მოგროვება საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული/სასურველი სერვისებისა და საჭიროებების შესახებ.

IV ეტაპი

შეჯამება/შეფასება:

- ამომრჩეველის მოსაზრებების ბარათის დამუშავება;
- შემაჯამებელი შეხვედრის გამართვა;
- ამომრჩევლების მოსაზრებებზე რეაგირების გეგმის შემუშავება.

პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა:

- ცესკო

ვესაუბრებით ამომრჩევლებს

2017 წლის ოქტომბერში იმართება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნები

- თქვენ 4 წლის ვადით ირჩევთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს და გამგებელს/მერს
- თქვენ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით შეგიძლიათ გადაწყვიტოთ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები
- მიმართეთ თქვენს საოლქო საარჩევნო კომისიას, თუ გაინტერესებთ როგორ დარეგისტრირდეთ კანდიდატად, შექმნათ საინიციატივო ჯგუფი, გახდეთ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ან/და მიიღოთ მონაწილეობა კენჭისყრაში
- თქვენ შეგიძლიათ დაესწროთ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო საჯარო შეხვედრებს
- შეხვედრების გრაფიკი და საოლქო საარჩევნო კომისიის საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ ვებგვერდზე – cesko.ge ან დაგვიკავშირდით – 2 51 00 51

ვესაუბრებით ამომრჩევლებს

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ქმნის ყველა პირობას, რომ ამომრჩევლებმა თავისუფლად განახორციელონ საარჩევნო უფლება და სთავაზობს მათ სხვადასხვა სერვისს

ჩვენ:

- გაწვდით ინფორმაციას თქვენი უფლებების შესახებ;
- უზრუნველვყოფთ ამომრჩეველთა სიაში თქვენი და ოჯახის წევრების გადამოწმების შესაძლებლობას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- თქვენთვის თანაბარი პირობების შესაქმნელად ხელს ვუწყობთ ინკლუზიური და ადაპტირებული საარჩევნო გარემოს განვითარებას;
- ორგანიზებას ვუწევთ არჩევნებს და გემსახურებით თქვენ.

უფროახლოს

WWW.CESKO.GE

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

SEÇİCİLƏRLƏ ÜNSİYYƏTDƏYİK

YERLİ ÖZÜNÜİDARƏETMƏ ORQANLARİNİN NÖVBƏTİ SEÇKİLƏRİ 2017-Cİ İLİN OKTYABR AYİNDA KEÇİRİLƏCƏK

- Siz bələdiyyə şurasının üzvünü və bələdiyyə başçısını/meri/4 il müddətinə seçirsiniz
- Sizin tərəfinizdən seçilmiş Yerli özünüidarəetmə orqanlarının vasitəsilə yerli məsələləri həll edə bilərsiniz
- Namizəd kimi qeydiyyatda ola bilməniz, təşəbbüs qrupunu yaratmaq, Məntəqə Seçki Komissiyasının üzvü və/ya səsvermədə iştirak etməniz haqqında maraqlanırsızsa Dairə Seçki Komissiyasına müraciət edin
- Siz Dairə Seçki Komissiyası tərəfindən təşkil edilən ictimai məlumatlandırma görüşlərində iştirak edə bilərsiniz
- Görüşlərin qrafiki və Dairə Seçki Komissiyasının əlaqə informasiyasını vebsəhifədə – cesko.ge baxın və ya əlaqə saxlayın – 2 51 00 51

SEÇİCİLƏRLƏ ÜNSİYYƏTDƏYİK

ცესკო

GÜRCÜSTAN SEÇKI ADMİNİSTRASIYASİ SEÇİCİLƏRIN SƏRBƏST SEÇKİ HÜQUQUNU HƏYATA KEÇİRMƏLƏRİ ÜÇÜN BÜTÜN ŞƏRAİT YARADİR VƏ MÜXTƏLİF SERVİS TƏQDİM EDİR

Biz:

- sizə sizin hüquqlarınız haqqında məlumat veririk;
- müasir texnologiyaları istifadə etməklə vahid siyahıda sizin və ailə üzvlərinizin yoxlanılmasını təmin edirik;
- sizə bərabər şərait yaratmaq üçün inkluziv və adaptasiya edilmiş seçki mühitinin inkişafına təşviq edirik;
- seçkiləri təşkil edir və sizə xidmət edirik.

DAHA DAYAXINDAN

WWW.CESKO.GE

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

ԽՈՍՈՒՄ ԵՆՔ ԸՆՏՐՈՂՆԵՐԻ ՀԵՏ

2017 թվականի հոկտեմբերին անց են կացվում տեղական ինքնակառավարման մարմինների հերթական ընտրությունները

- Դուք 4 տարի ժամկետով ընտրում եք մունիցիպալիտետի ավագանու անդամների և գամգեբելիի (վարչության նախագահի)/քաղաքապետի:
- Ձեր կողմից ընտրված տեղական ինքնակառավարման մարմինների միջոցով դուք կարող եք լուծել տեղական նշանակության հարցեր:
- Դիմե՛ք Ձեր ընտրատարածքային ընտրական հանձնաժողովին, եթե Ձեզ հետաքրքրում է ինչպես գրանցվել որպես թեկնածու, ստեղծել նախաձեռնող խումբ, դառնալ տեղամասային ընտրական հանձնաժողովի անդամ կամ/և մասնակցել քվեարկությանը:
- Դուք կարող եք ներկա գտնվել ընտրատարածքային ընտրական հանձնաժողովի կողմից կազմակերպված տեղեկատվական հանրային հանդիպումներին:
- Հանդիպումների ժամանակացույցը և ընտրատարածքային ընտրական հանձնաժողովի կոնտակտային տեղեկությունները տեսե՛ք կայքէջում՝ cesko.ge, կամ կապվե՛ք մեզ հետ հեռախոսահամարով՝ 2 51 00 51:

ԽՈՍՈՒՄ ԵՆՔ ԸՆՏՐՈՂՆԵՐԻ ՀԵՏ

ცესკო

Վրաստանի ընտրական վարչությունը ստեղծում է բոլոր պայմանները, որ ընտրողներն ազատ իրականացնեն իրենց ընտրական իրավունքը, և առաջարկում է տարբեր ծառայություններ.

Մենք.

- Ձեզ տեղեկություններ ենք տրամադրում Ձեր իրավունքների մասին:
- Ապահովում ենք միասնական ցուցակում Ձեր և Ձեր ընտանիքի անդամների տվյալների վերստուգման հնարավորություն՝ ժամանակակից տեխնոլոգիաների կիրառմամբ:
- Ձեզ համար հավասար պայմանների ստեղծման նպատակով, նպաստում ենք ներառական և հարմարեցված ընտրական միջավայրի զարգացմանը:
- Կազմակերպում ենք ընտրությունները և ծառայում Ձեզ:

ԱՎԵԼԻՄՈՒՏ

WWW.CESKO.GE

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

ვესაუბრებით ამომრჩევლებს

ამომრჩევლის მოსაზრებების ბარათი

თქვენი ასაკი ☐ სქესი ☐ *ქალი* ☐ *კაცი*

გთხოვთ გამოხატოთ მოსაზრებები არჩევნებთან დაკავშირებით თქვენთვის საინტერესო საკითხებზე:

✓ ვისურვებდი.....
.....

✓ მაინტერესებს.....
.....

✓ კარგი იქნება.....
.....

✓ მე რომ საარჩევნო ადმინისტრატორი ვიყო.....

ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი აზრი

საარჩევნო ადმინისტრაცია მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის

SEÇİCİLƏRLƏ ÜNSİYYƏTDƏYİK

SEÇİCİNİN RƏY KARTİ

Sizin yaşınız ☐ cinsiyyətiniz ☐ *qadin* ☐ *kişi*

Xahiş edirik, seçkilərlə bağli sizin üçün maraqli olan məsələlər haqqinda rəylərnizi bildirəsiniz:

✓ İstəyərdim.....
.....

✓ Maraqlaniram.....
.....

✓ Yaxşi olar.....
.....

✓ Mən seçki administratoru olsam.....
.....

Bizim üçün sizin fikriniz vacibdir

Seçki administrasiyasi əməkdaşliq üçün təşəkkürünü bildirir

ԽՈՍՈՒՄ ԵՆՔ ԸՆՏՐՈՂՆԵՐԻ ՀԵՏ

Ընտրողների կարծիքների թերթիկ

Ձեր տարիքը ☐ Սեռը՝ ☐ *կին* ☐ *տղամարդ*

Խնդրում ենք ընտրությունների հետ կապված Ձեզ հետաքրքրող հարցերի վերաբերյալ կարծիքներ արտահայտել.

✓ Կցանկանայի .....
.....

✓ Ինձ հետաքրքրում է .....
.....

✓ Լավ կլինի .....
.....

✓ Եթե ես լինեմ ընտրական վարչարար .....
.....

Մեզ համար կարևոր է Ձեր կարծիքը

Ընտրական վարչությունը Ձեզ շնորհակալություն է հայտնում համագործակցության համար:

დანართი 4.
პროექტის ბიუჯეტი

ხარჯის დასახელება	თანხა
ტრენერთა ტრანსპორტირება	21,900
მივლინება (დაგეგმვა, მონიტორინგი)	3,173
საკანცელარიო საქონელი	1,124
ნაბეჭდი პროდუქცია	6,625
ბრენდირებული პროდუქცია	12,000
შეხვედრების ორგანიზება	1,770
რეკლამის დამზადება-განთავსება	28,000
სულ	73,393

საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

ცესკო
საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია

უფროსებისთვის